საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი"-ს დირექტორი**
გუოხუი ჩენის

ტელ: 591 00-54-54; 595 99-53-27
ელ.ფოსტა:kupatadzemanana@yahoo.com

# განცხადება

აღნიშნულ საწარმოს, **გარდაბნის რაიონი სოფელი აღთაკლია, ს/კ 81.06.21.453,** გააჩნია მეტალურგიული ქარხანა, რომელსაც შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, საწარმოს წარმადობა ტოლი იყო დაახლოებით 30.000 ტ/წ, გამოშვებული პროდუქციაა მრგვალი ღეროს და არმატურული ღეროს 14 ნაირსახეობა, რომელთა დიამეტრებია: 10 მმ, 12 მმ, 14 მმ, 16 მმ, 18 მმ, 20 მმ.

ღუმელში ფოლადის დნობა უნდა განხორციელებულიყო ელექტრორკალის მეშვეობით, რომელიც წარმოიქმნება გრაფიტის ელექტროდსა და ჯართს შორის ძაბვის სხვაობის ხარჯზე. ღუმელში დნობის პროცესის დასაჩქარებლად ჟანგბადთან ერთად, შეყვანილ იქნება ნახშირი. საწარმოში გათვალისწინებული იყო სამი ერთეული სადნობი ღუმელი და ერთი ერთეული ციცხვ ღუმელი შემდეგი წარმადობით:

- თითეული ელ-რკალური ღუმელი - 3 ტ/სთ;
- ციცხვ-ღუმელის - 10 ტ/სთ;

საწარმოში 3 ცალი, თითეული 3 ტ/სთ წარმადობის, ელექტრორკალური, ღუმელების დამონტაჟების მაგივრად მოხდა 4 წყვილი (სულ 8 ცალი, 4 ცალი მუშაობს, 4 ცალი სარემონტო რეჟიმშია), ინდუქციური ღუმელების დამონტაჟება, საიდანაც 6 ცალი (ორი წყვილი), თითეულის წარმადობაა 2 ტ/სთ-ში, ხოლო 2 ცალი (ერთი წყვილ) წარმადობაა 2.5 ტ/სთ-ში, ანუ ჯამური წარმადობაა 8.5 ტ/სთ-ში.

საწარმოში თითეული ღუმელის მუშაობის წლიური დრო დაგეგმილი იყო 3334 საათი (24 საათიანი, სამცვლიანი სამუშაო რეჟიმი) და წლიურად 30000 ტონა ნაწარმის წარმოება (9 ტ/სთ), ხოლო ექსპლოატაციის პირობების შეცვლის შემდეგ თითეული ღუმელის მუშაობის წლიური დრო დაგეგმა 2560 საათი (8 საათი დღეში, ერთცვლიანი სამუშაო დღე) და წლიურად 21760 ტონა ნადნობის წარმოება (8.5 ტ/სთ) და მისგან შესაბამისად იმავე რაოდენობის სხვადასხვა მარკის და დიამეტრის არმატურის წარმოება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
№ 15295
"26" 08 2021
03

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა).

აქედან გამომდინარე, შპს **„რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი“**-ს საქმიანობის ექსპლოატაციის პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით, კოდექსის მე-5 პუნქტის შესაბამისად შემუშავებულ იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად.

წერილს თან ერთვის:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი“**-ს **მეტალურგიული (არმატურის წარმოება) ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის** სკოპინგის ანგარიში და ელექტრული ვერსია;
- დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიის shp ფაილები.

პატივისცემით

გუოხუი ჩენ
დირექტორი